საქართველო

39860-01-2-201910181307

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/39860
18/10/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჟენევაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა აგრძელებს საქმიანობას ჟენევაში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ევროპის რეგიონის ქვეყნების ჯგუფში გადასვლასთან და შესაბამისად, დსთ-ს გადაფარვის ზონიდან საბოლოოდ გამოსვლასთან დაკავშირებით.

ამჟამად საქართველო არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) საველე ოპერაციებისა და პარტნიორობის (DDG / FOP) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ოფისის ქვეშ, რომელიც მდებარეობს ქ. მოსკოვში. აღნიშნული ოფისი საქართველოსთან ერთად ფარავს შემდეგ ქვეყნებს: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი.

ILO-ს საველე ოპერაციებისა და პარტნიორობის (DDG / FOP) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოფისი მდებარეობს ქ. ბუდაპეშტში და ფარავს შემდეგ ქვეყნებს: ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, კოსოვო (გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციის შესაბამისად), ლატვია, ლიეტუვა, ჩრდილოეთ მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უკრაინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მ.წ. 14 ოქტომბერს ჟენევაში საქართველოს წარმომადგენლობამ მორიგი შეხვედრა გამართა ILO-ს გენერალურ დირექტორთან, გაი რაიდერთან. აღნიშნული შეხვედრა გახლდათ 2019 წლის ივნისში საქართველოს პრეზიდენტისა და ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს შორის გამართული შეხვედრის გაგრძელება (follow up).

შეხვედრაზე გენერალურ დირექტორს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში შრომის უფლებების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ქართულმა მხარემ მადლიერება გამოხატა ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის და განუმარტა, რომ საქართველოსთვის მსგავსად სხვა ორგანიზაციებისა, ILO-ში მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნების რეგიონულ ოფისის გადაფარვის ქვეშ გადასვლა. აღნიშნულს აქვს პოლიტიკური მიზანი და ამავდროულად პრაქტიკული დანიშნულება.

საქართველოში შრომითი უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული რეფორმები შესაბამისობაშია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მიერ შესასრულებელ ვალდებულებებთან. ჟენევაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა მიმართა თხოვნით მათ ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს გადაფარვა მოსკოვის ოფისის ნაცვლად ბუდაპეშტის ოფისიდან. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოს პრეზიდენტის თხოვნას ამ საკითხთან დაკავშირებით.

გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ გადაფარვის ოფისის შეცვლა დაკავშირებულია რამდენიმე საკითხთან, რომელთაგან ერთ-ერთი არის პოლიტიკური. ამგვარი შემთხვევა არასოდეს ჰქონია ორგანიზაციას და აღნიშნული პრეცედენტის შექმნა ILO-სთვის სასურველად არ მიაჩნია.

პრაქტიკული თვალსაზრისით ბუდაპეშტის ოფისის გადაფარვის ქვეყნების რაოდენობა აღემატება მოსკოვის ოფისის გადაფარვის ქვეყნების რაოდენობას. შესაბამისად მოსკოვის ოფისს აქვს მეტი შესაძლებლობა აქტიურად ითანამშრომლოს გადაფარვის ქვეყნებთან. ბ-ნი გაი რაიდერის განმარტებით, საქართველოსთან დაკავშირებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების დროს მოსკოვის ოფისი უზრუნველყოფს ევროპელი ექსპერტების მოწვევას და ჩართულობას, რომლებიც იცნობენ ევროპულ გამოცდილებას.

გენერალურმა დირექტორი მიიჩნევს, რომ აქვე გასათვალისწინებელია საქართველოს დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ასოციაციების მოსაზრებები გადაფარვის ოფისის შეცვლასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნა, რომ თავად მოსკოვის ოფისი წარმომადგენელი ლეიო სიბელი (ნიდერლანდები) ძალზედ აქტიურად და პროდუქტიულად თანამშრომლობს საქართველოს შესაბამის უწყებებთან, რითაც, მისი ინფორმაციით, ქართული მხარეც კმაყოფილია.

დასასრულს, ჟენევაში საქართველოს წარმომადგენლობამ კიდევ ერთხელ განუმარტა გენერალურ დირექტორს საკითხის პოლიტიკური სენსიტიურობა და მხარეები შეთანხმდნენ საკითხთან დაკავშირებით გააგრძელონ კონსულტაციები. ქართულმა მხარემ ბატონი რაიდერი ასევე მიიწვია საქართველოში ადგილზე ვითარების გაცნობის მიზნით. თავის მხრივ, გენერალურმა დირექტორმა გამოხატა დაინტერესება და გამოთქვა მზადყოფნა, ქართულ მხარეს შეატყობინოს ვიზიტისთვის ხელსაყრელი პერიოდის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჟენევაში საქართველოს წარმომადგენლობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ILO-ს რეგიონული გადაფარვის ოფისის შეცვლასთან დაკავშირებით გაიმართოს სამმხრივი შეხვედრა (სამთავრობო უწყებებსა და დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ორგანიზაციებს შორის) და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ორგანიზაციას მიეწოდოს ერთობლივი წერილობითი სურვილი, რაც კიდევ ერთი არგუმენტი იქნება ქართული მხარისთვის ზემოაღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებების პროცესში.

პატივისცემით,
თეიმურაზ ჯანჯალია

დეპარტამენტის დირექტორი
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი